დანართი №1

საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის სტრუქტურა და განხორციელების წესი

1. საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის სტრუქტურა და განხორციელების წესი აწესრიგებს საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელებისა და კოორდინაციის საკითხებს.

2. საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის (შემდგომ - პროგრამა) ძირითადი მიზნებია:

ა) სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელება;

ბ) ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებების ხელშეწყობა;

გ) პროგრამით დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართვა სამუშაო შეხვედრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3. პროგრამის განხორციელების კოორდინაციაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი (შემდგომ - დეპარტამენტი).

4. დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

ა) შეხვედრების ორგანიზებას;

ბ) დაინტერესებული პირების ინფორმირებას;

გ) შეხვედრის ოქმებისა და საინფორმაციო ფურცლის მომზადებას და მის მიწოდებას ფართო საზოგადოებისთვის.

5. პროგრამა ფინანსდება სამინისტროს ბიუჯეტიდან. ამავდროულად, სამინისტრო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური მხარდაჭერისთვის მიმართოს პარტნიორებს.

6. საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო და ეროვნული დონის ორგანიზაციებთან თანამშრომლობისთვის, სამინისტრო აფორმებს მემორანდუმს პროცესის ფინანსური თუ ტექნიკური მხარდაჭერისთვის.

7. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის უფლება აქვს სატყეო სექტორის რეფორმით დაინტერესებულ ყველა პირს.

8. პლენარული შეხვედრის ფორმატი არის ჰიბრიდული. შეხვედრაში ადგილზე მონაწილე პირებს იწვევს სამინისტრო, ხოლო ონლაინ რეჟიმში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვს ყველა დაინტერესებულ პირს.

9. სამუშაო შეხვედრების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ხელმისაწვდომობისთვის, თავსდება სამინისტროს ვებ-გვერდზე.

10. პროგრამის ფარგლებში 1 წლის განმავლობაში იმართება, სულ მცირე, 10 სამუშაო შეხვედრა.

11. შეხვედრები იმართება სამინისტროსა და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების ინიციტივით.

12. დამატებითი შეხვედრები შესაძლებელია გაიმართოს დაინტერესებული პირების მოთხოვნის შემთხვევაში.

13. სამუშაო შეხვედრებზე დგება ოქმი და მზადდება საინფორმაციო ფურცელი, რომელიც ეგზავნება პროგრამის ყველა წევრს ელექტრონული ფოსტის საშუალებით ქართულ და ინგლისურ ენებზე.

14. პლენარული შეხვედრა ტარდება წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, სადაც დაინტერესებულ პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და შედეგების შესახებ.